



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ბრძანება № 360

თბილისი

„06“ 05 2016

2015-2016 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების განრიგის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტების, „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 7 აპრილის N48/5 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების წესისა და პირობების“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე და სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2016 წლის 27 აპრილის N457205 მომართვის გათვალისწინებით

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს 2015-2016 სასწავლო წლის სკოლის გამოსაშვები გამოცდების ჩატარების განრიგი:

ა) (დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისათვის) შემდეგნაირად:

ა.ა) 21 მაისი:

ა.ა.ა) ქართული ენა და ლიტერატურა;

ა.ა.ბ) ქართული, როგორც მეორე ენა;

ა.ა.გ) გეოგრაფია.

ა.ბ) 22 მაისი:

ა.ბ.ა) უცხოური ენები;

ა.ბ.ბ) ბიოლოგია;

ა.გ) 23 მაისი:

ა.გ.ა) ისტორია;

ა.გ.ბ) ფიზიკა;

ა.დ) 24 მაისი - მათემატიკა;

ა.ე) 25 მაისი - ქიმია.

ბ) (მე-11 კლასის მოსწავლეებისათვის) შემდეგნაირად:

ბ.ა) 12 ივნისი - გეოგრაფია;

ბ.ბ) 13 ივნისი - ბიოლოგია;

ბ.გ) 14 ივნისი - ფიზიკა;

ბ.დ) 15 ივნისი - ქიმია.

2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, N6).

თამარ სანიკიძე

